

# ენერგეტიკის რეფორმა საქართველოში

საქართველო მისთვის საჭირო ნედლი ნავთობის და ბუნებრივი გაზის უმეტესი რაოდენობის მისაღებად მეზობელ ქვეყნებზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, მას არა აქვს კანონმდებლობა ენერგოეფექტურობის საკითხებზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს აქვს დიდი რაოდენობით ჰიდრორესურსები და იმის შანსი, რომ გახდეს ელექტროენერჯის ტრანზიტის მნიშვნელოვანი ჰაბი. ევროკავშირი ეხმარება ქვეყანას საკანონმდებლო და სარეგულაციო გარემოს გაუმჯობესებაში იმგვარად, რომ მან შეძლოს ენერგოეფექტურობაზე გადასვლა და მაქსიმალურად ისარგებლოს განახლებადი ენერჯის საკუთარი წყაროებით.

საქართველოს განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, ქვეყნის ენერგეტიკის მთავარი პრიორიტეტებია:

- ენერგეტიკული უსაფრთხოების დონის გაზრდა
- საკუთარი ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენება
- ენერჯის განახლებადი წყაროების აქტიური გამოყენება
- ენერგოეფექტურობის სტიმულირება

## EU4Energy პროგრამის მხარდაჭერა

იმავდროულად ევროკომისია ისწრაფვის საქართველოს დასახმარებლად ამ პრიორიტეტების განხორციელებაში. **ენერგეტიკული გაერთიანების მხარდაჭერით EU4Energy მმართველობის პროექტის** ფარგლებში, საქართველო საკუთარ კანონმდებლობაში გადაიტანს სხვადასხვა ნაწილებს უმნიშვნელოვანესი კანონმდებლობიდან, მაგალითად, **შენობების ენერგოეფექტურობის დირექტივიდან**.

გარდა ამისა, ენერგეტიკული გაერთიანება ეხმარება საქართველოს იმის უზრუნველყოფაში, რომ მისი ელექტროენერჯის და გაზის კანონმდებლობა შესაბამისობაში იყოს **ევროკავშირის მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან**, რომლის მიზანია გაზის და ელექტროენერჯის ბაზრების ათვისება.

## სარგებელი მომხმარებლების, ბიზნესის და გარემოსთვის

აღნიშნული კომბინირებული მხარდაჭერის მოსალოდნელი გავლენა შემდეგია:

- შემცირებული ენერგოდამოკიდებულება
- გაუმჯობესებული ენერგოუსაფრთხოება და საიმედოობა
- ინვესტირების რისკის შემცირება
- ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის გამოყენების უფრო მაღალი დონე
- ენერჯიაზე ფასების შემცირება მომხმარებლებისა და ბიზნესისთვის
- სამუშაო ადგილების შექმნა განახლებადი ენერგეტიკის სექტორში

რაც შეეხება მომავალს, ენერგოდამოუკიდებლობა წარმოადგენს **ევროკავშირის მხრიდან საქართველოს დახმარების ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩოს (2017-2020)** ერთ-ერთ პრიორიტეტს და ის ორიენტირებული იქნება ენერგეტიკის სექტორის რეფორმებზე და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებაზე.

